

Image not found or type unknown

გენოლისა და მუქარა/დაშინების ფაქტები

გენოლისა და მუქარა/დაშინების ფაქტები

რაშიდ მუსაევის საქმე

2016 წლის 22 აგვისტოს საია-ს რუსთავის ოფისს მომართა გარდაბნის რაიონის სოფელ ბირლიკში მცხოვრებმა რაშიდ მუსაევმა, პოლიტიკური პარტია „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“-ის საარჩევნო შტაბის უფროსი გარდაბნის რაიონში. მისი განცხადებით გარკვეულმა პირებმა მასზე გენოლა მისი პოლიტიკური საქმიანობიდან გამომდინარე განახორციელეს. მისი განმარტებით, 18 აგვისტოს შეხვდა ნაცნობი ყოფილი თანაპარტიელი, თანხმლებ უცხო პირებთან ერთად, რომელმაც საქართველოდან წასვლისა და პოლიტიკური საქმიანობისათვის თავის დანებების სანაცვლოდ, გარკვეული თანხა შესთავაზა და უთხრა, რომ თუ არ დათანხმდებოდა, მას მოკლავდნენ. რაშიდ მუსაევმა უარი განუცხადა აღნიშნულ შემთავაზებაზე, რაზეც აღნიშნული პირები შეეცადნენ კუთვნილ ავტომობილში ძალის გამოყენებით ჩაესვათ. რაშიდ მუსაევმა მოახერხა თავი დაეღწია და გამოქცეულიყო.

ფირახმად გასანოვის საქმე

2016 წლის 22 აგვისტოს საია-ს რუსთავის ოფისს მომართა გარდაბნის რაიონის სოფელ თაბაქენდში მცხოვრებმა ფირახმად გასანოვმა, რომელმაც განაცხადა, რომ მუშაობს პედაგოგად თაბაქენდის საჯარო სკოლაში და ამასთან იყო პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური წევრი, მაგრამ ხელმძღვანელ პირებთან გარკვეული უთანხმოების გამო დატოვა პარტია და განწევრიანდა „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიულ მოძრაობაში“, სადაც აქტიურად მონაწილეობს წინასაარჩევნო პროცესებში. აღნიშნულის გამო მმართველი პარტიის ადგილობრივი ხელმძღვანელობის მხრიდან მის მიმართ განხორციელდა სიტყვიერი და ფსიქოლოგიური გენოლა, რადგან შეეწყვიტა პარტიის წევრობა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



რამიდ მუსაევმა და ფირახმად გასანოვმა აღწერილ ფაქტებთან დაკავშირებით განცხადებით რუსთავის რაიონულ პროკურატურას მიმართეს. მათ ინტერესებს საიას ადვოკატები წარმოადგენენ.